საქართველოს ახალგაზრდა
ეკონომისტთა ასოციაცია

როგორ მივიღოთ ნებართვა

საქალაქთაშორისო და სამარეუბნო რეგულარულ სამგზავრო მაღაყვანაზე

მგზავრი

თბილისი
2004

წინასიტყვაობა

გზამკვლევი „როგორ მივიღოთ ნებართვა საქალაქთაშორისო და საგარეუბნო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანაზე“ შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით, საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში მოქმედ მეწარმეთა დახმარების მიზნით.

გზამკვლევის შემუშავება განაპირობა საქალაქთაშორისო და საგარეუბნო სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ახალი წესის მიღებამ, აგრეთვე „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონისა და ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპების დანერგვის აუცილებლობამ.

გზამკვლევში, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, ნებართვის კონკურსის წესით მიღების პროცედურის დეტალურ აღწერასთან ერთად, დაინტერესებული პირი მიიღებს მრავალ მნიშვნელოვან ინფორმაციას, რაც მას გამოადგება აღნიშნული პროცედურის პრაქტიკული განხორციელებისას.

გზამკვლევი მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ „აირის საქართველოს“ მხარდაჭერითა და საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში ნებართვის გამცემ სახელმწიფო უწყებებთან აქტიური თანამშრომლობით.

გზამკვლევი წარმოადგენს კანონთა კომენტარებს და იგი დაზღვეული არ არის შეცდომებისგან. ყველა დასაბუთებული და საქმიანი შენიშვნა მხედველობაში იქნება მიღებული.

გისურვებთ წარმატებებს!

შინაარსი

შესავალი 4
ტერმინთა განმარტება 4
საკანონმდებლო რეგულირება 5
ნ ე ბ ა რ თ ვ ა 6
სანებართვო სახეები, გამცემი ორგანოები და მოსაკრებლები 6
საქალაქთაშორისო და საგარეუბნო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანაზე ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია 7
სანებართვო პირობები საქალაქთაშორისო და საგარეუბნო სამგზავრო გადაყვანაზე 8
ნებართვის გაცემის წესი 9
საქალაქთაშორისო და საგარეუბნო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანაზე ნებართვის გაცემის წესი 9
საქალაქთაშორისო და საგარეუბნო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანაზე კონკურსში მონაწილე გადამზიდავთა შეფასების მეთოდიკა 17
კონკურსის ჩაშლა 18
კონკურსში მონაწილეობაზე უარის თქმის საფუძვლები 18
სანებართვო მოწმობის დაკარგვა ან დაზიანება 18
ნებართვის მოქმედების შეჩერება 19
ნებართვის გაუქმება 19
გასაჩივრების წესი 20
ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრება 20
სასამართლოში გასაჩივრება 22
კონტროლის სისტემა 23
პასუხისმგებლობა ნებართვის გარეშე საქმიანობისთვის 25
ადმინისტრაციული ჯარიმა და მისი დაკისრების წესი 25
სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა 25
სანებართვო რეესტრი 26
დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა 27
დ ა ნ ა რ თ ი 30

შესავალი

ნებართვა წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლებას. რეგულარული საქალაქთაშორისო და საგარეუბნო სამგზავრო საავტომობილო გადაყვანის განსახორციელებლად პირს ესაჭიროება საავტომობილო გადაყვანის შესაბამის სახეობის ნებართვა.

- ✓ **ქვეყნის შიგნით არარეგულარული სამგზავრო გადაყვანები ნებართვას არ ექვემდებარება.**
- ✓ **საქალაქთაშორისო და საგარეუბნო რეგულარულ საავტომობილო გადაყვანაზე კონკრეტულ მარშრუტზე გაიცემა 1 ნებართვა.**

ტერმინთა განმარტება

ნებართვა – ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე პირისთვის მინიჭებული უფლება, ერთჯერადად ან/და გარკვეული ვადით განახორციელოს კანონით გათვალისწინებული საავტომობილო გადაყვანა განსაზღვრულ ტერიტორიაზე, კანონით დადგენილი პირობების დაცვით. ნებართვა გაიცემა 5 წლის ვადით.

სანებართვო პირობები – კანონით ან/და შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დადგენილი მოთხოვნების ამომწურავი ნუსხა, რომლის დაცვაც აუცილებელია ნებართვის მისაღებად. აგრეთვე წესების, ნორმებისა და მოთხოვნების ერთობლიობა, რომელთა დაცვაც კანონით მოეთხოვება ნებართვის მფლობელს ნებართვით განსაზღვრული სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად.

საკონკურსო პირობები – კანონით ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი დოკუმენტაცია, რომლის წარდგენის შემთხვევაში ნებართვის მაძიებელი დაიშვება საქალაქთაშორისო და საგარეუბნო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანაზე ნებართვის მისაღებად ჩასატარებელ კონკურსში.

საავტომობილო გადაყვანა – გზაზე საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებით მგზავრის გადაყვანა.

გადამყვანი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ფლობს ან განკარგავს ავტოსატრანსპორტო საშუალებას და ახორციელებს მგზავრთა გადაყვანას.

ავტობუსი – მგზავრთა გადასაყვანად და მათი ბარგის გადასატანად განკუთვნილი ავტომობილი 8–ზე მეტი დასაჯდომი ადგილით, მძღოლის ადგილის გარდა.

რეგულარული გადაყვანა – მგზავრთა მრავალჯერადი გადაყვანა, რომელიც სრულდება მოძრაობის დადგენილი განრიგის შესაბამისად იმ განსაზღვრულ მარშრუტზე, რომლით სარგებლობის უფლებაც აქვს ნებისმიერ პირს.

ერთიანი სამგზავრო გადაყვანა – მგზავრთა გადაყვანა საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის მიერ დადგენილი მარშრუტით ქვეყნის შიგნით, ორი ან ორზე მეტი რაიონის ან/და იმ ქალაქის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე გავლით, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში.

ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანა – გადაყვანა, რომელიც ხორციელდება რაიონის ან ქალაქის ადმინისტრაციული ტერიტორიის საზღვრებში.

საქალაქთაშორისო სამგზავრო გადაყვანა – ერთიანი სამგზავრო გადაყვანა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ორ ან ორზე მეტ ქალაქს, გარდა ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანისა.

საგარეუბნო სამგზავრო გადაყვანა – ერთიანი სამგზავრო გადაყვანა მარშრუტზე, რომელიც აკავშირებს სოფელს, დაბას ან დასახლებულ პუნქტს სხვა ადმინისტრაციული ტერიტორიის ქალაქთან ან დასახლებულ პუნქტთან და არ გადის მეორე ქალაქის ტერიტორიაზე.

საკანონმდებლო რეგულირება

ნებართვის გაცემის ზოგადი წესები და პრინციპები დადგენილია კანონით „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“, რომლის თანახმად:

- აკრძალულია ნებართვის შემოღება ისეთ საქმიანობაზე, რომელიც კანონით არ არის გათვალისწინებული;
- აკრძალულია კანონქვემდებარე აქტით ისეთი დოკუმენტის მიღება, რომელიც ადგენს შინაარსობრივად რაიმე საქმიანობაზე სანებართვო რეჟიმს;
- ნებართვას დაქვემდებარებული კონკრეტული საქმიანობის ჩამონათვალი განისაზღვრება მხოლოდ კანონით;
- ნებართვის მისაღებად საჭირო დამატებითი პირობები განისაზღვრება მხოლოდ კანონით.

საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის ნებართვების ვადებს, გაცემის წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს კანონი „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“.

რეგულარულ სამგზავრო გადაყვანაზე სანებართვო მოსაკრებლებს ადგენს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული კანონების გარდა საავტომობილო ტრანსპორტის სფეროს არეგულირებს მრავალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. კერძოდ: ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის ბრძანებები[1] და საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის თავმჯდომარის ბრძანებები. ადგილობრივი ტრანსპორტის სფეროებს არეგულირებს შესაბამისი თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულოების) გადაწყვეტილებები. **(იხ. დანართი 1)**

[1] ამჟამინდელი ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

ნ ე ბ ა რ თ ვ ა

სანებართვო სახეები, გამცემი ორგანოები და მოსაკრებლები

ინდივიდუალური მეწარმე ან იურიდიული პირი მგზავრთა რეგულარულ საავტომობილო გადაყვანას ახორციელებს ნებართვის საფუძველზე.

ქვეყნის შიდა სამგზავრო გადაყვანის სფეროში „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ კანონი ასხვავებს 3 სახის ნებართვას, რომელთა ნაწილს გასცემს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაცია, ნაწილს კი – შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანოები.

- ✓ **ნებართვები გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.**

ქვეყნის შიდა რეგულარულ საავტომობილო გადაყვანების დარგში მოქმედი სანებართვო საქმიანობის სახეები, მათი გამცემი ორგანოები, სანებართვო მოსაკრებლები და გაცემის წესი მოცემულია ცხრილში.

№	**სანებართვო საქმიანობა**	**გამცემი ორგანო**	**მოსაკრებელი**	**გაცემის წესი**
1	საქალაქთაშორისო და საგარეუბნო საავტომობილო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა*	საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაცია	დადგენილი არ არის	საჯარო ადმინისტრაციუი წარმოება
2	ადგილობრივი საავტომობილო რეგულარული გადაყვანა*	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან/და მისი შესაბამისი ადგილბრივი სამსახურის მიერ	არა უმეტეს 200 ლარისა (თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე თვეში)	საჯარო ადმინისტრაციული წარმოება
3	ადგილობრივი სატაქსო (მსუბუქი ავტომობილით, 7 კაცამდე) გადაყვანა	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან/და მისი შესაბამისი ადგილობრივი სამსახურის მიერ	1 ლარი (თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე თვეში)	მარტივი ადმინისტრაციული წარმოება

***შენიშვნა:** ნებართვები საქალაქთაშორისო, საგარეუბნო და ადგილობრივ რეგულარულ სამგზავრო გადაყვანებზე გაიცემა კონკურსის (აუქციონის) წესით.
კონკურსის წესი და პირობები დადგენილია შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული აქტით.

საქალაქთაშორისო და საგარეუბნო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანაზე ნებართვის გაცემის კონკურსის წესი დადგენილია საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის თავმჯდომარის ბრძანებით.

- ✓ **საქალაქთაშორისო და საგარეუბნო სამგზავრო გადაყვანაზე ნებართვის მოქმედების ვადაა 5 წელი**

საქალაქთაშორისო და საგარეუბნო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი პირები სანებართვო მოსაკრებლის ნაცვლად საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციას უხდიან რეგულირების საფასურს **(იხ. დამატებითი ინფორმაცია გვ. 28).**

საქალაქთაშორისო და საგარეუბნო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანაზე ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია

საქალაქთაშორისო და საგარეუბნო რეგულარულ გადაყვანაზე ნებართვის მაძიებელმა ნებართვის გამცემ ორგანოს – საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციას – უნდა მიმართოს განცხადებით **(დანართი 2)**, რომელიც უნდა შეიცავდეს:

- ნებართვის მაძიებლის საფირმო სახელწოდებასა და ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას;
- სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემებს;
- ადგილსამყოფელს;
- ხელმძღვანელის გვარსა და სახელს;
- ინფორმაციას თუ რა სახის ნებართვას (მარშრუტის მითითებით) მოითხოვს ნებართვის მაძიებელი.

განცხადებას თან უნდა დაერთოს:

1. წარმომადგენლობისას – სათანადო წესით გაფორმებული რწმუნება **(იხ. დანართი 3);**
2. საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციის დოკუმენტების ასლი;
3. საგარეუბნო და საქალაქთაშორისო სამგზავრო რეგულარულ გადაყვანაზე მომსახურების შესაბამისობის სერტიფიკატის ასლი **(იხ. დამატებითი ინფორმაცია გვ. 29)**;
4. ნებართვის მაძიებლის მფლობელობაში არსებული და კონკურსში წარსადგენი ავტობუსების სარეგისტრაციო მოწმობის (სავალდებულო წლიური ტექნიკური დათვალიერების გავლის დამადასტურებელი კლიფსით), მათი საკუთრების ან/და მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები, ლიზინგის ან იჯარის ხელშეკრულების შემთხვევაში – ხელშეკრულების ასლი;
5. ნებართვის მაძიებლის საქმიანობის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოს მიერ დადასტურებული დოკუმენტი საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი საგადასახადო დავალიანების შესახებ;
6. კონკურსში წარმოდგენილი ავტობუსების მძღოლების სია, მათი მართვის მოწმობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის ასლები;
7. ავტოსატრანსპორტო პროცესების მართვაზე პასუხისმგებელი პირის – საწარმოს მენეჯერის პროფესიული კომპეტენტურობისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (აღნიშნულ კვალიფიკაციაზე ლიცენზირებული დაწესებულების დიპლომი ან ტრანსპორტის მენეჯერის სერტიფიკატი[2]);
8. დოკუმენტაცია მარშრუტზე განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკურ-საექსპლუატაციო და სხვა მაჩვენებლების შესახებ, რომელშიც ასახული უნდა იყოს:
   - მგზავრთა გადაყვანის განსახორციელებლად გამოსაყენებელი ავტობუსების მარკა, მოდელი, სარეგისტრაციო და საიდენტიფიკაციო ნომრები, ხნოვანება (გამოშვების წელი), დამამზადებლის მიერ დადგენილი რესურსი;
   - საკონკურსო პირობებით გათვალისწინებული მგზავრთნაკადის მომსახურებისთვის საჭირო ავტობუსების რაოდენობის (სარეზერვო

[2] პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატს გასცემს საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ აკრედიტირებული სასწავლო დაწესებულება (ცენტრი) „ტრანსმენეჯერი". იგი გაიცემა ორკვირიანი მოსამზადებელი კურსის გავლის შემდეგ. მოქმედების ვადაა 5 წელი. სასწავლო კურსი ფასიანია და გადასახადი შეადგენს 140 ევროს ეკვივალენტს ლარებში. ხსენებული სასწავლო ცენტრი მდებარეობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის I კორპუსში, კოსტავას 68.

ავტობუსების ჩათვლით, რომელთა რაოდენობა უნდა შეადგენდეს ავტობუსების საერთო რაოდენობის არა ნაკლებ 15%-ისა) გაანგარიშება, მარშრუტზე მოძრაობის განრიგის პროექტი და მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის ტარიფები;

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის[3] მფლობელობის შემთხვევაში – ტერიტორიისა და შენობა-ნაგებობების ფართის, საწარმოო სიმძლავრის, მოწყობილობა-დანადგარების ჩამონათვალი და დანიშნულება. აგრეთვე, ნებართვის მაძიებლის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკუთრების ან მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ლიზინგის ან იჯარის შემთხვევაში – ხელშეკრულების ასლი, ბაზის ტერიტორიისა და შენობა-ნაგებობების დამტკიცებული პროექტის ასლი.

სანებართვო პირობები საქალაქთაშორისო და საბარეუბნო სამგზავრო გადაყვანაზე

გარდა ზემოაღნიშნული დოკუმენტებისა, ნებართვის მაძიებელი (ნებართვის მფლობელი) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ სანებართვო პირობებს:

1. მის მფლობელობაში არსებული ავტობუსი უნდა აკმაყოფილებდეს გარემოზე დასაშვები ზემოქმედების ნორმებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უსაფრთხოების მოთხოვნებს;
2. მარშრუტზე გამოყენებულ უნდა იქნეს მისი სახეობის შესაბამისი ავტობუსი;
3. გადამზიდველს მფლობელობაში უნდა ჰქონდეს ავტობუსების ის რაოდენობა, რომლითაც უზრუნველყოფს განსაზღვრულ რეგულარულ მარშრუტზე შესაბამისი რაოდენობის რეისების განხორციელებას;
4. მის მფლობელობაში არსებული ავტობუსი ეკიპირებული უნდა იყოს დადგენილი წესით;
5. დაცული უნდა იყოს რეგულარულ მარშრუტზე მოძრაობის განრიგი;
6. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მგზავრთა გაბილეთიანება;
7. საწარმოში საავტომობილო გადაყვანის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირს უნდა ჰქონდეს შესაბამისი განათლება ან/და კვალიფიკაცია;
8. მძღოლს უნდა ჰქონდეს მძღოლად მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და შესაბამისი კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის ბოლო ერთი წლის უწყვეტი სტაჟი;
9. უზრუნველყოფილ უნდა იყოს მძღოლის წინასარეისო პერიოდული სამედიცინო შემოწმება და დაცული უნდა იყოს მისი შრომისა და დასვენების რეჟიმი[4];
10. მძღოლის ჯანმრთელობის მდგომარეობა უნდა შეესაბამებოდეს ამ პროფესიისთვის დადგენილ მოთხოვნებს;
11. საგზაო-სატრანსპორტო დოკუმენტაციის წარმოება უნდა ხორციელდებოდეს დადგენილი წესით;
12. მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს კონკურსში მონაწილეობისთვის წარდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნულ პირობებს.

✓ **სანებართვო პირობების დარღვევა შეიძლება გახდეს ნებართვის შეჩერების ან გაუქმების საფუძველი.**

---

3 აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოიცავს იზოლირებულ ტერიტორიას მყარი საფარით, შენობა-ნაგებობასა და შესაბამის მოწყობილობა-დანადგარებს, განკუთვნილს ავტობუსების შენახვის, რეცხვა-დასუფთავებისა და წინასარეისო მომსახურებისთვის.

4 მძღოლი უნდა სარგებლობდეს შრომის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებით. დამსაქმებელი ვალდებულია დღე-ღამის განმავლობაში დაიცვას სამუშაო საათები. მძღოლს უნდა ჰქონდეს დასვენების შესაძლებლობა დღის განმავლობაში, ასევე კვირაში ერთი დღე მაინც, რაც უნდა განისაზღვროს დამსაქმებელთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით. თუ სატრანსპორტო საშუალება მოძრაობს 24 საათიან რეჟიმში, მძღოლს აუცილებლად უნდა ჰყავდეს შემცვლელი. თუ მძღოლი მუშაობს უქმე ან დასვენების დღეებში, მას დამატებით უნდა მიეცეს კომპენსაცია.

ნებართვის გაცემის წესი

საქალაქთაშორისო და საგარეუბნო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანაზე ნებართვის გაცემის წესი

საქალაქთაშორისო და საგარეუბნო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანაზე ნებართვა გაიცემა კონკურსის წესით, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების მოთხოვნების დაცვით[5].

კონკურსს, ნებართვის გაცემაზე აცხადებს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის თავმჯდომარე (შემდეგში: ადმინისტრაციის თავმჯდომარე). კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს საკონკურსო კომისია, რომელიც იქმნება ადმინისტრაციის თავმჯდომარის მიერ არანაკლებ 7 წევრის[6] შემადგენლობით. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს ადმინისტრაციის თავმჯდომარე.

ინფორმაციას კონკურსის ჩატარების შესახებ საკონკურსო კომისია აქვეყნებს საჯაროდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. მათ შორის, ელექტრონული მედიით (ინტერნეტით) შემდეგ ვებ გვერდზე: www.gata.gov.ge

- ✓ **კომისიამ ინფორმაციის გავრცელება კონკურსის ჩატარების შესახებ უნდა უზრუნველყოს კონკურსის ჩატარებამდე არანაკლებ 2 თვით ადრე.**

კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მარშრუტის დასახელება და სიგრძე, მარშრუტის დაწყებისა და დასრულების პუნქტებში ავტოსადგურების დასახელება, კონკრეტულ მარშრუტზე გასაცემი ნებართვის ზუსტი დასახელება;
- მარშრუტზე დროის განსაზღვრულ შუალედში საორიენტაციო მგზავრთნაკადი;
- მარშრუტზე ავტობუსების რაოდენობის დასადგენად მგზავრთტევადობის გამოყენების კოეფიციენტის მაქსიმალური სიდიდე;
- კონკურსის ჩატარების ვადები;
- მოთხოვნები ავტობუსების მიმართ, გამომდინარე მარშრუტის სპეციფიკიდან;
- განცხადების მიღების მისამართი;
- განცხადების მიღების დაწყებისა და დამთავრების თარიღები;
- კომისიის მდივნის კოორდინატები, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს განცხადება და უზრუნველყოს მისი რეგისტრაცია.

ნებართვის მაძიებელი (მაძიებლები) განცხადებას კონკურსში მონაწილეობის თაობაზე და მასზე თანდართულ დოკუმენტებს წარუდგენს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციას.

- ✓ **განცხადება წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში. ვადის გასვლის შემდეგ განცხადება არ მიიღება.**

- ✓ **დაუშვებელია კონკურსში მონაწილეობის თაობაზე დოკუმენტაციის მიწოდება საფოსტო გზავნილის სახით.**

---

[5] ადმინისტრაციულ წარმოებაში ნებისმიერი ვადის ათვლა იწყება მომდევნო დღიდან ანუ დოკუმენტის წარდგენის ან ვადის განსაზღვრის მომდევნო დღიდან (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილი).

[6] კომისიის წევრთა რაოდენობა უნდა იყოს კენტი, კომისიის თავმჯდომარის ჩათვლით.

განცხადებას რეგისტრაციაში ატარებს საკონკურსო კომისიის მდივანი, რომელიც ინიშნება ადმინისტრაციის თავმჯდომარის მიერ სათათბირო ხმის უფლების გარეშე.

- ✓ **მდივანი ვალდებულია განცხადება რეგისტრაციაში გაატაროს მიღების დღესვე და დაუსვას მას რეგისტრაციის თარიღი და ნომერი; ნებართვის მაძიებლის მოთხოვნისას კი – დაუყოვნებლივ გასცეს ცნობა განცხადების რეგისტრაციაში გატარების შესახებ.**

საკონკურსო კომისიის მდივანი განცხადების რეგისტრაციისთანავე ან 3 დღის[7] ვადაში ამოწმებს წარდგენილი განცხადებისა და მასზე თანდართული მასალების შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან[8] (ნებართვის მისაღებ საკონკურსო პირობებთან).

- ✓ **ნებართვა გაიცემა ბოლოს შემოსული განცხადებისა და მასზე თანდართული დოკუმენტების საკონკურსო პირობებთან შესაბამისობის შემოწმებიდან ერთი თვის ვადაში.**

შესაბამისობის შემოწმებისას არ ხდება წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვა და იგი მოიცავს ძირითადად განცხადების შინაარსის გაცნობასა და თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალის შემოწმებას. შესაბამისობის შემოწმებისას შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემდეგ გარემოებებს:

1. **განცხადების, ან მასზე დართული მასალების წარდგენა უცხო ენაზე.** საქმისწარმოება ნებართვის გამცემ ორგანოში მიმდინარეობს სახელმწიფო (ქართულ) ენაზე და შესაბამისად ნებართვის მაძიებელი ვალდებულია ყველა დოკუმენტი წარადგინოს ქართულ ენაზე. თუ რომელიმე დოკუმენტი სახელმწიფო ენაზე არ არის წარდგენილი, ნებართვის გამცემმა ორგანომ ნებართვის მაძიებელს უნდა მისცეს ვადა დოკუმენტის თარგმნისა და მისი სანოტარო წესით დადასტურებისთვის, რომელიც არ შეიძლება იყოს 3 დღეზე ნაკლები.

   - ✓ **სანოტარო წესით დადასტურებული დოკუმენტის წარდგენამდე საქმისწარმოების ვადა შეჩერებულია.**

2. **დოკუმენტების არასრულად წარდგენა.** ამ შემთხვევაში ნებართვის გამცემმა ორგანომ უნდა მოსთხოვოს განმცხადებელს წარადგინოს აუცილებელი დოკუმენტები და ამისთვის განუსაზღვროს ვადა, რომელიც არ უნდა იყოს 5 დღეზე[9] ნაკლები. დოკუმენტების წარსადგენად განსაზღვრული ვადა უნდა იყოს

---

[7] ადმინისტრაციულ წარმოებაში ვადების ათვლა წარმოებს კალენდარული დღეების შესაბამისად, რომელშიც მიეთვლება ასევე უქმე და დასვენების დღეები (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილი). ვადების ათვლის ეს წესი გამოიყენება მხოლოდ ადმინისტრაციული წარმოებისას (მათ შორის, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის თაობაზე გამართულ წარმოებაზე) და არა სხვა შემთხვევაში, მაგ., საჯარო ინფორმაციის გამოთხოვისას.

[8] ადმინისტრაციული წარმოების ეს საფეხური გულისხმობს განცხადების შესაბამისობის დადგენას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე, „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მოთხოვნებთან და თანდართული დოკუმენტების შეესაბამისობის დადგენას საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის ბრძანებით დამტკიცებული „საქალაქთაშორისო და საგარეუბნო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მისაღებად კონკურსის ჩატარების წესი და პირობების“ მე-3 მუხლის 5-6 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებთან.

[9] თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ანდა დასვენების დღეს, მაშინ ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე (საქართველოს ზოგადი

გონივრული, ე.ი. ნებართვის გამცემმა ორგანომ მიახლოებით უნდა გათვალოს, თუ რა ვადაში შეძლებს მაძიებელი დოკუმენტების წარდგენას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს რეალური ვითარება და თუ შესაძლებელია, მოსმენილ იქნეს მაძიებლის პოზიციაც ამის შესახებ.

მოთხოვნაში კონკრეტულად უნდა მიეთითოს თუ რა დოკუმენტი ან ინფორმაცია უნდა წარადგინოს მაძიებელმა. ამ ვადაში დოკუმენტების წარუდგენლობისას, ნებართვის გამცემ ორგანოს უფლება აქვს (მაგრამ არ არის ვალდებული) განმცხადებლის მოთხოვნით, მხოლოდ ერთხელ, არა უმეტეს 15 დღით დამატებით გააგრძელოს დოკუმენტების წარდგენის ვადა.

- ✓ **დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტების წარუდგენლობა იწვევს ნებართვის მოთხოვნის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვებას.**

დოკუმენტების წარსადგენად განმცხადებლისთვის მიცემული დამატებითი ვადა არ მიეთვლება საქმისწარმოების საერთო ვადას, ე.ი. მოცემულ შემთხვევაში საქმისწარმოება შეჩერებულია. ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტების წარდგენიდან.

3. **ექსპერტიზის დანიშვნის აუცილებლობა.** ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც წამოიჭრება ისეთი საკითხები, რომლებიც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს და გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი ხდება, ნებართვის გამცემი ნიშნავს ექსპერტიზას. ექსპერტიზა ძირითადად ინიშნება მეცნიერების, ტექნიკის ან/და მედიცინის სფეროში ამა თუ იმ საკითხის გასარკვევად. დაუშვებელია ექსპერტიზა დაინიშნოს სამართლებრივ საკითხებზე.

ექსპერტიზის დანიშვნის შემთხვევაში, განცხადების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებიდან 3 დღის განმავლობაში, შესაბამისი ადმინისტრაციული აქტი და დასკვნის წარსადგენად საჭირო დოკუმენტები უნდა გადაეგზავნოს ექსპერტს. ექსპერტიზის დანიშვნის აქტში კონკრეტულად უნდა ჩამოყალიბდეს ის კითხვები, რომელზეც ნებართვის გამცემ უწყებას სურს პასუხის მიღება. ექსპერტი დასკვნას წარადგენს მასალების მიღებიდან ორი კვირის ვადაში.

- ✓ **ექსპერტიზის მიმდინარეობისას ვადის დინება შეჩერებულია.**

განცხადებისა და მასზე თანდართული მასალების შესაბამისობის დადგენიდან მომდევნო 3 დღის განმავლობაში ადმინისტრაციის ვებ გვერდზე უნდა გამოქვეყნდეს ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ. ცნობაში უნდა მიეთითოს:

- სატრანსპორტო ადმინისტრაციის დასახელება, რომელშიც მიმდინარეობს ნებართვის გაცემა და მისი მისამართი;
- ნებართვის მოთხოვნით წარდგენილი განცხადების მოკლე შინაარსი;
- ზეპირი მოსმენის (კონკურსის ჩატარების) თარიღი;
- ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვადა;
- ნებისმიერი პირის მიერ საკუთარი მოსაზრების წარდგების ვადა;
- ნებისმიერი პირის უფლება, რომ მას მოსაზრების წარდგენისას შეუძლია არ დაასახელოს თავისი ვინაობა;
- ცნობის გამოქვეყნების თარიღი.

ადმინისტრაციული კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

საჯარო გაცნობისთვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობა აგრეთვე უნდა გამოქვეყნდეს ნებართვის გამცემი უწყების ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. თუ ნებართვის გამცემ ორგანოს არა აქვს ბეჭდვითი ორგანო, მაშინ ცნობა ქვეყნდება იმ ბეჭდვით ორგანოში, რომელიც ვრცელდება ნებართვის გამცემი ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე და გამოიცემა კვირაში ერთხელ მაინც. ცნობის ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნების შეუძლებლობისას, საკონკურსო კომისია ვალდებულია ცნობა განათავსოს სატრანსპორტო ადმინისტრაციის ოფიციალურ დაფაზე, სადაც ნებისმიერ პირს ექნება შესაძლებლობა დაუბრკოლებლად გაეცნოს მას ანუ ცნობა ისეთ ადგილას უნდა განთავსდეს, რომ მის გასაცნობად დაინტერესებულ პირს შენობაში შესასვლელად საშვის მიღება არ უნდა დასჭირდეს.

საჯარო გაცნობისთვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში ნებისმიერ პირს[10] უფლება აქვს ნებართვის გამცემ ორგანოში გაეცნოს ნებართვის მაძიებლების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და სხვა დაინტერესებული პირების[11] მოსაზრებებს, ასევე საქმეში არსებულ სხვა მასალას, გააკეთოს ამონაწერები, საკუთარი ხარჯით გადაიღოს ასლები, წარადგინოს საკუთარი მოსაზრება წერილობით და დაესწროს კონკურსის ჩატარებას (საქმის ზეპირ მოსმენას).

- ✓ **მოსაზრების წარდგენა შეუძლია არა მხოლოდ განმცხადებელს, არამედ სხვა ნებისმიერ პირსაც, რომელსაც უფლება აქვს დარჩეს ანონიმურად.**

ნებისმიერი პირი მოსაზრებას წარადგენს საჯარო გაცნობისთვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში და უფლება აქვს მხოლოდ დაესწროს ზეპირი მოსმენის სხდომას, ხოლო დაინტერესებულ პირს ენიჭება დამატებით უფლება ახსნა-განმარტებით გამოვიდეს ზეპირი მოსმენის სხდომაზე.

- ✓ **ნებართვის მაძიებელს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს კონკურსში პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც შეიძლება იყოს ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი.**

ნებართვის მაძიებელს ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე წერილობითი სახით შეუძლია აცილება განუცხადოს **(იხ. დანართი 4)** კომისიის წევრს, რომელსაც კანონის შესაბამისად უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ წარმოებაში. საქმის ზეპირი მოსმენის სხდომაზე აცილების თაობაზე შუამდგომლობა შეიძლება დაყენებულ იქნეს ზეპირადაც.

მუდმივმოქმედი საკონკურსო ქვეკომისია იქმნება ადმინისტრაციის თავმჯდომარის განკარგულებით, არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით, რათა უზრუნველყონ ავტობუსების განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. ქვეკომისიაში ადმინისტრაციის თანამშრომელთა გარდა შეიძლება შეყვანილ იქნენ დარგის მოწვეული სპეციალისტები. ქვეკომისიის ხელმძღვანელი ინიშნება ადმინისტრაციის თავმჯდომარის მიერ.

- ✓ **ზეპირი მოსმენის გამართვამდე ადმინისტრაციის მუდმივმოქმედი საკონკურსო ქვეკომისია ამოწმებს წარდგენილ სატრანსპორტო საშუალებებს.**

---

[10] **ნებისმიერი პირი** არის ისეთი პირი, რომლის უფლებებზე და ინტერესებზე ნებართვის გაცემა უშუალო გავლენას არ ახდენს, მაგრამ სურს გამოხატოს თავისი პოზიცია კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით.

[11] **დაინტერესებული პირი** არის ისეთი პირი, რომლის უფლებებზე ან კანონიერ ინტერესებზე ნებართვის გაცემა ახდენს პირდაპირ და უშუალო გავლენას; დაინტერესებულ პირად ითვლება ასევე ნებართვის მაძიებელი.

შემოწმებისას თითოეულ სატრანსპოტო საშუალებას ეწერება ქულა სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით **(იხ. დანართი 5).** სატრანსპორტო საშუალებების შემოწმებისას უფლებამოსილი პირი ადგენს ოქმს, რომელსაც ხელს აწერს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

- ✓ **მოსაზრების წარმოდგენის ვადის გასვლიდან 5 დღის ვადაში იმართება კონკურსი – საქმის ზეპირი მოსმენა.**

კონკურსის გამართვის შესახებ ნებართვის მაძიებელსა და სხვა დაინტერესებულ პირებს უნდა ეცნობოს მის გამართვამდე 7 დღით ადრე მაინც და მიწვეულ უნდა იქნენ ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად. მოსაწვევ უწყებაში უნდა მიეთითოს საკონკურსო კომისიის უფლებამოსილება საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს დაინტერესებული მხარის მონაწილეობის გარეშეც.

- ✓ **თუ დაინტერესებულ პირთა რაოდენობა 50-ზე მეტია, მაშინ ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია თითოეულისთვის ინდივიდუალური მოსაწვევის გაგზავნის ნაცვლად გამოაქვეყნოს ცნობა კონკურსის ჩატარების შესახებ.**

- ✓ **საკონკურსო კომისია ვალდებულია განუმარტოს მაძიებელს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს საქმის განხილვის წესი და პირობები.**

- ✓ **საკონკურსო კომისია ნებართვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე.**

საკონკურსო კომისიამ უნდა გამოიკვლიოს ყველა წარდგენილი დოკუმენტი, მოუსმინოს მაძიებლებსა და ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე სხვა დაინტერესებულ პირს, განიხილოს მაძიებლის ან/და მისი წარმომადგენლის მიერ დაყენებული შუამდგომლობები (აცილების, მტკიცებულებათა წარდგენის და ა.შ), შეაფასოს სატრანსპორტო საშუალებების შემოწმების მასალები. ექსპერტიზის დანიშვნის შემთხვევაში, საკონკურსო კომისიას უფლება აქვს სხდომაზე გამოიძახოს ექსპერტი და კითხვები დაუსვას მის მიერ წარმოდგენილ დასკვნასთან დაკავშირებით. ექსპერტისთვის კითხვის დასმის უფლება აქვს მაძიებელსა და საქმეში ჩართულ დაინტერესებულ პირს. სხდომაზე შეიძლება გამოძახებულ იქნენ მოწმეები ამა თუ იმ ფაქტის დასადასტურებლად.

- ✓ **ზეპირი მოსმენის სხდომა საჯაროა და ნებისმიერ პირს აქვს უფლება დაესწროს მას.**

სხდომაზე დგება ოქმი, სადაც აღინიშნება საქმის მიმდინარეობა, განხილვის დრო და ადგილი, სხდომაზე მონაწილე მხარეების, ექსპერტებისა და მოწმეების ვინაობა და განსახილველი საკითხის მოკლე აღწერა. ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიიღება საქმეზე ყველა გარემოების დადგენის, მტკიცებულებების გამოკვლევის, შეფასებისა და წარმოდგენილი არგუმენტების ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

- ✓ **საკონკურსო კომისიას გადაწყვეტილება გამოაქვს დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.**

გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის შესახებ მიიღება ადმინისტრაციული აქტის სახით განცხადების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებიდან 1 თვის ვადაში, ზეპირი მოსმენის გამართვიდან 10 დღის ვადაში.

- ✓ **სანებართვო მოწმობა გაიცემა ადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 3 დღის ვადაში.**

ინფორმაცია ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 10 დღის ვადაში ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია მოიცავს მოკლე წერილობით პუბლიკაციას, სადაც იქნება აღნიშნული კონკურსში მონაწილე პირების შესახებ იმ პირის შესახებ, რომელზეც გაიცა ნებართვა, გამცემი ორგანოს დასახელება, ბრძანების ნომერი და თარიღი, რომლითაც გადაწყვეტილება იქნა მიღებული, სანებართვო საქმიანობის სახეობა და ნებართვის მოქმედების ვადა.

ტრანსპორტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის, გაცემაზე უარის თქმის, მისი მოქმედების შეჩერების, განახლების ან გაუქმების შესახებ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

- ადმინისტრაციული აქტის სახე (მაგ., ბრძანება №);
- გამომცემი ორგანოს დასახელებას;
- ადმინისტრაციული აქტის სათაურს (მაგ., ბრძანება № ნებართვის გაცემის შესახებ);
- უფლებამოსილი თანამდებობის პირის გვარს, სახელსა და ხელმოწერას;
- გამოცემის დროსა და ადგილს;
- ადმინისტრაციული აქტის გამომცემი ორგანოს მიერ მინიჭებულ სარეგისტრაციო ნომერს;
- ორგანოს, რომელშიც შეიძლება ამ აქტის გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა (მაგ., „ბრძანება ნებართვის გაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საოლქო სასამართლოში“).

- ✓ **ადმინისტრაციული წარმოების დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ნებართვის გაცემაზე უარის თქმად, რომლის გასაჩივრებაც შესაძლებელია სასამართლოში.**

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაცია, მისამართი – ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის № 12.

საჯარო ადმინისტრაციული წარმოება
სქემა

განცხადებისა და მასზე თანდართული მასალების წარდგენა საკონკურსო კომისიაში	

↓

განცხადების რეგისტრაცია	მიღებისთანავე

↓

ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისობის შემოწმება დადგენილ მოთხოვნებთან	განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღეში

↓

დოკუმენტების ან ინფორმაციის არასრულად წარდგენისას მაძიებლისთვის მათ წარსადგენად დამატებითი ვადის (არანაკლებ 5 დღის) განსაზღვრა	

↓

მაძიებლის თხოვნით მხოლოდ ერთხელ დამატებით, არა უმეტეს 15 დღით მოთხოვნილი დოკუმენტების ან ინფორმაციის წარდგენის ვადის გაგრძელება	"

↓

საჭიროების შემთხვევაში ექსპერტიზის დანიშვნა და სათანადო მასალების ექსპერტისთვის გადაგზავნა	დადგენილ მოთხოვნებთან დოკუმენტების შესაბამისობის შემოწმებიდან 3 დღის ვადაში
↓	
ექსპერტის მიერ დასკვნის წარმოდგენა	მასალების მიღებიდან 2 კვირის ვადაში
↓	
ნებართვის თაობაზე წარდგენილი მასალების საჯარო გაცნობისთვის ცნობის გამოქვეყნება	შესაბამისობის დადგენიდან 3 დღეში
↓	
ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობა და საკუთარი მოსაზრების წარდგენა ნებისმიერი პირის მიერ	საჯარო გაცნობისთვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში
↓	
ზეპირი მოსმენა	მოსაზრებების წარდგენის ვადის გასვლიდან 5 დღეში
↓	
გადაწყვეტილების მიღება ნებართვის გაცემის ან მის გაცემაზე უარის თქმის შესახებ	განცხადების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენიდან ერთ თვეში ზეპირი მოსმენიდან 10 დღეში
↓	
სანებართვო მოწმობის გაცემა	ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში

საქალაქთაშორისო და საგარეუბნო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანაზე კონკურსში მონაწილე გადამზიდავთა შეფასების მეთოდიკა

ადმინისტრაციის მუდმივმოქმედი ქვეკომისია ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ ავტობუსებს ამოწმებს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული ტექნიკური კრიტერიუმების შესაბამისად.

- ✓ **თითოეულ კრიტერიუმზე ქულების მინიჭების ან ავტობუსის კონკურსიდან მოხსნის გადაწყვეტილებებს ქვეკომისია იღებს ხმათა უმრავლესობით.**

თანაბარი ხმების შემთხვევაში გადამწყვეტად ითვლება ქვეკომისიის თავმჯდომარის ხმა. ქვეკომისიის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი წარედგინება კომისიას მის მიერ დადგენილ ვადაში.

- ✓ **ნებართვის მაძიებელი იხსნება კონკურსიდან, თუ ქვეკომისია უსაფრთხოების ნორმებთან შეუსაბამობის გამო რიგ ავტობუსებს მოხსნის კონკურსიდან და დარჩენილი ავტობუსები არ იქნება საკმარისი საკონკურსო პირობებით გათვალისწინებული მგზავრთნაკადის მომსახურებისთვის.**

- ✓ **დაუშვებელია ნებართვის მაძიებლის მიერ კონკურსში იმ ავტობუსების წარმოდგენა, რომლებიც შეფასებულ იქნა სხვა მარშრუტზე ჩატარებულ კონკურსში და მასში ნებართვის მაძიებელი გამოვლინდა გამარჯვებულად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოძრაობის განრიგები საშუალებას იძლევა ავტობუსის საკონკურსო მარშრუტზე გამოყენებისთვის.**

- ✓ **დაუშვებელია აგრეთვე კონკურსზე იმ ავტობუსის წარდგენა, რომელიც გამოიყენება ან წარდგენილია კონკურსზე სხვა გადამყვანის მიერ.**

კონკურსში მონაწილე ნებართვის მაძიებლის ყველა ავტობუსისთვის მინიჭებული ქულების საერთო ჯამი იყოფა მონაწილის მიერ შესაფასებლად წარდგენილ ავტობუსების რაოდენობაზე, რის შედეგადაც გამოიანგარიშება **ერთ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დაყვანილი ავტობუსების შეფასების საშუალო ქულა.**

- ✓ **თეორიულად ერთ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დაყვანილი ავტობუსების შეფასების საშუალო ქულის მაქსიმალური მნიშვნელობაა –36.**

ერთ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დაყვანილი ავტობუსების შეფასების საშუალო ქულას ემატება ნებართვის მაძიებლის რეპუტაციისა და საიმედოობის განმსაზღვრელი კრიტერიუმებით მინიჭებული ქულები **(იხ. დანართი 6)** (მაქსიმუმ – 8 ქულა), რის შედეგადაც გამოვლინდება ქულების საერთო ჯამი.

- ✓ **კონკურსში გამარჯვებულად დასახელდება ის მონაწილე, რომელიც მიიღებს ქულათა ყველაზე მაღალ ჯამს.**

კონკურსის ჩაშლა

კონკურსი ითვლება ჩაშლილად თუ:

- კონკურსის ჩატარების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ არ იქნა შემოტანილი არც ერთი განცხადება;
- წარმოდგენილი განცხადებებიდან და დოკუმენტებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის მოთხოვნებს.

იმ შემთხვევაში, როდესაც კონკურსში მონაწილეობაზე დაშვებული იქნა მხოლოდ ერთი ნებართვის მაძიებელი, ნებართვა ენიჭება მას ავტომატურად, თუ მის მიერ წარმოდგენილი ავტობუსები ადმინისტრაციის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებულ ტექნიკურ კრიტერიუმებთან შეფარდების შემდეგ დარჩება საკმარისი, რათა უზრუნველყოს საკონკურსო პირობებით გათვალისწინებული მგზავრთნაკადის მომსახურება.

კონკურსში მონაწილეობაზე უარის თქმის საფუძვლები

ნებართვის მაძიებელი კონკურსზე არ დაიშვება, თუ:

- წარდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს სანებართვო პირობებს, რის თაობაზეც ნებართვის მაძიებელს განემარტა დოკუმენტაციის წარდგენისთანავე;
- მაძიებელი მოითხოვს ისეთ ნებართვას, რომელიც მას გაუუქმდა და გაუქმებიდან არ გასულა 6 თვე;
- მაძიებელს შეუჩერდა ნებართვის მოქმედება და არ აღმოფხვრილა მისი შეჩერების საფუძველი;
- ნებართვის მაძიებელმა ვერ უზრუნველყო დადგენილ ვადებში განცხადების შეტანა კომისიაში;
- ნებართვის მაძიებლის მიერ მარშრუტის მომსახურებისთვის წარმოდგენილი ავტობუსების რაოდენობა არ არის საკმარისი საკონკურსო პირობებით გათვალისწინებული მგზავრთნაკადის მომსახურებისთვის.

  - ✓ **გადაწყვეტილება ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საოლქო სასამართლოში.**

სანებართვო მოწმობის დაკარგვა ან დაზიანება

სანებართვო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ნებართვის მფლობელი წერილობითი განცხადებით მიმართავს ნებართვის გამცემს სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემის თაობაზე.

- ✓ **ნებართვის დუბლიკატის მისაღებად საჭიროა მხოლოდ წერილობითი განცხადება.**

განცხადების მიღებიდან 2 დღეში ნებართვის გამცემი გასცემს სანებართვო მოწმობის დუბლიკატს, რომლისთვისაც გადასახდელი მოსაკრებელი შეადგენს 10 ლარს[12].

- ✓ **სანებართვო მოწმობის დუბლიკატს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც მის დედანს.**
- ✓ **აკრძალულია ნებართვის სხვა პირთათვის გადაცემა.**

[12] „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“ კანონი, მუხლი 7, პუნქტი 23.

ნებართვის მოქმედების შეჩერება

თუ ნებართვის მფლობელი არღვევს სანებართვო პირობებს ნებართვის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას ნებართვის მოქმედების შეჩერების შესახებ, რომელიც მიიღება ნებართვის გაცემისათვის დადგენილი წესით.

გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილების მიღების დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ან კერძო ინტერესებს, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია მიიღოს ნებართვის მოქმედების შეჩერების შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება დადგენილი ვადის დაუცველად და ამის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ნებართვის მფლობელს.

ნებართვის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს, რომელი სანებართვო პირობაა დარღვეული. თუ ნებართვის მფლობელი 3 თვის განმავლობაში გამოასწორებს დარღვეულ სანებართვო პირობას, იგი მიმართავს ნებართვის გამცემ ორგანოს ნებართვის მოქმედების განახლების მოთხოვნით. განცხადებაში მეწარმე უფლებამოსილია დასვას შუამდგომლობა ნებართვის მოქმედების განახლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე.

- ✓ **გადაწყვეტილება ნებართვის მოქმედების შეჩერების ან განახლების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საოლქო სასამართლოში.**

ნებართვის გაუქმება

ნებართვის გაუქმება მოიცავს მის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადებას. ბათილობისას ნებართვა გაუქმებულად ითვლება მისი გაცემის დღიდან, ხოლო ძალადაკარგულად გამოცხადება კი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან.

ნებართვის გაუქმების საფუძველია, თუ:

- ნებართვა გასცა არაუფლებამოსილმა ორგანომ ან პირმა;
- იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები;
- არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ნებართვის გამცემს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციული აქტი და ნებართვის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს;
- ნებართვის მფლობელის მიერ არ სრულდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულებები;
- გაუქმდა ან შეიცვალა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რაც ნებართვის გამცემს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს. ამ შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეს, რომელსაც ზიანი მიადგა, მისი მოთხოვნის საფუძველზე მიეცემა ანაზღაურება;
- ამას მოითხოვს ნებართვის მფლობელი;

- სახეზეა ნებართვის მფლობელის გარდაცვალება (დადგენილი წესით გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან ქმედუუნაროდ ცნობა) და/ან ლიკვიდაცია;
- გავიდა ნებართვის მოქმედების შეჩერების ვადა და ამ ვადაში არ აღმოიფხვრა მისი შეჩერების საფუძველი.

✓ **თუ ნებართვის შეჩერებამ და გაუქმებამ შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესებისთვის ზიანის მიყენება, ნებართვის მფლობელს კანონის საფუძველზე შეიძლება მიეცეს უფლება, გარკვეული ვადით გააგრძელოს ნებართვით გათვალისწინებული საქმიანობა ნებართვის გამცემის ზედამხედველობით.**

გასაჩივრების წესი

ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრება

ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის, მისი მოქმედების შეჩერების, განახლების ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება (ადმინისტრაციული აქტი), ასევე, საკონკურსო კომისიის, ქვეკომისიის წევრებისა თუ მდივნის ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა[13]) შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) ან სასამართლოში.

✓ **გასაჩივრებისათვის დადგენილია 1 თვიანი ვადა, რომელიც აითვლება იმ დღიდან, როცა საჩივრის შემტანისათვის ცნობილი გახდა კანონშეუსაბამო მოქმედების ან უმოქმედობის შესახებ.**

✓ **გასაჩივრების 1 თვიანი ვადა, რომლის განმავლობაში პირმა ვერ შეიტანა საჩივარი, შეიძლება აღდგეს დაუძლეველი ძალის ან სხვა საპატიო მიზეზის არსებობისას.**

ადმინისტრაციული საჩივარი **(იხ. დანართი 7)** არის წერილობითი ფორმის და უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) ადმინისტრაციული ორგანოს (ან ზემდგომი თანამდებობის პირის) დასახელება, რომელშიც შეიტანება საჩივარი;
ბ) საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა და მისამართი;
გ) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომლის ადმინისტრაციული აქტი ან ქმედება საჩივრდება;
დ) გასაჩივრებული გადაწყვეტილების (ქმედების) დასახელება;
ე) მოთხოვნა;
ვ) გარემოებები ან/და მტკიცებულებები, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა;
ზ) საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

✓ **ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილება გამოაქვს სატრანსპორტო ადმინისტრაციის თავმჯდომარეს.**

[13] უმოქმედობას ადგილი აქვს მაშინ, თუ პირებს ევალებათ რაიმე მოქმედების განხორციელება და ისინი ამას არ აკეთებენ.

- ✓ **ქვეკომისიის ქმედება ან/და გადაწყვეტილება აგრეთვე შესაძლებელია გასაჩივრდეს კომისიაში.**
- ✓ **პირს უფლება აქვს ადმინისტრაციის თავმჯდომარესთან ან კომისიაში ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის გარეშე პირდაპირ მიმართოს სასამართლოს სარჩელით.**

საჩივრის განმხილველი არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ:

ა) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება მოცემულ საქმესთან დაკავშირებით;
ბ) სასამართლოს წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;
გ) არსებობს ამ ორგანოს ან ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილება იმავე საკითხზე;
დ) ზემდგომ ორგანოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება იმავე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით;
ე) საჩივარი შეიტანა ქმედუუნარო პირმა;
ვ) საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;
ზ) გასულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა (ერთი თვე).

- ✓ **საჩივრის განმხილველი საჩივარს წარმოებაში იღებს მისი წარდგენიდან 5 დღის ვადაში.**
- ✓ **საჩივრის მიღებაზე ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე საჩივრის განმხილველი ვალდებულია საჩივრის წარმდგენ პირს მისცეს მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა.**

საჩივრის განმხილველი საჩივარს იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს 1 თვის ვადაში. თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების დადგენისათვის აუცილებელია 1 თვეზე მეტი, საჩივრის განმხილველი უფლებამოსილია გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ. ამ გადაწყვეტილებას საჩივრის განმხილველი იღებს საჩივრის წარდგენიდან არა უგვიანეს 7 დღისა და ვადის გაგრძელების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს საჩივრის შემტანს (არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა). საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელება დასაშვებია არა უმეტეს 1 თვით.

საჩივარი და მასზე თანდართული დოკუმენტაციის ასლი საჩივრის განმხილველის მიერ გადაეგზავნება იმ ორგანოს, რომლის გადაწყვეტილებაც არის გასაჩივრებული. დოკუმენტაციის გადაგზავნა ხდება საჩივრის წარდგენიდან 5 დღის ვადაში. ეს უწყება დოკუმენტაციის მიღებიდან 5 დღის ვადაში უგზავნის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ ყველა მასალასა და საჩივართან დაკავშირებით თავის მოსაზრებას წერილობითი ფორმით.

- ✓ **დაუშვებელია ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოს იმ თანამდებობის პირმა, რომელიც მონაწილეობდა გასაჩივრებული აქტის მომზადებაში ან გამოცემაში.**

საჩივრის განმხილველი ვალდებულია საჩივრის განხილვის პროცესში უზრუნველყოს საჩივრის შემტანის მონაწილეობა და მისცეს მას საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების, მტკიცებულებათა წარდგენისა, ექსპერტთა, სპეციალისტთა მოწვევისა და მოწმეთა გამოძახების შესაძლებლობა. საჩივრის განხილვისათვის უნდა დაინიშნოს ზეპირი მოსმენა, რომელზეც, მის გამართვამდე 5 დღით ადრე მაინც, წერილობითი ფორმით მოიწვევა საჩივრის შემტანი და ის

პირები, რომელთაც მიიღეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება (ან რომელთა ქმედებაც საჩივრდება). საჩივრის განხილვის სხდომაზე საჩივრის შემტანს უფლება აქვს გამოვიდეს ახსნა-განმარტებით, რომელიც უნდა დაფიქსირდეს სხდომის ოქმში.

საჩივრის შემტანი საკუთარ მოსაზრებას (წერილობითი ფორმით) და სხვა მტკიცებულებებს წარადგენს ზეპირი მოსმენის გამართვამდე 5 დღით ადრე მაინც.

- ✓ **ზეპირი მოსმენის სხდომა ღიაა და ნებისმიერ პირს უფლება აქვს დაესწროს მას.**

საჩივრის განმხილველმა წარმოდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, უნდა მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყეტილება:

1. საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;
2. საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ;
3. საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად საჩივრის განმხილველის მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს.

- ✓ **დაუშვებელია დაწესდეს სახელმწიფო ბაჟი ან რაიმე გადასახდელი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისათვის.**

- ✓ **ნებართვის თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრება არ იწვევს მისი მოქმედების შეჩერებას, თუ სასამართლო, საჩივრის განმხილველი ან ნებართვის გამცემი არ მიიღებს შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას.**

სასამართლოში გასაჩივრება

ნებართვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, ასევე ნებართვის გამცემი ორგანოების ქმედება (უმოქმედობა) შეიძლება პირდაპირ გასაჩივრდეს სასამართლოში **(იხ. დანართი 8)**. ადმინისტრაციული აქტი, რომელიც ნებართვის თაობაზე იყო გამოცემული (მაგ., ბრძანება), სასამართლოში საჩივრდება მისი გაცნობიდან 6 თვის ვადაში.

თუ ნებართვის გამცემმა ორგანომ პირს უარი უთხრა ნებართვის გაცემაზე, სარჩელი სასამართლოში შეიძლება აღიძრას ნებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მოთხოვნით.

- ✓ **ადმინისტრაციის გადაწყვეტილება საჩივრდება თბილისის საოლქო სასამართლოში, ხოლო ქმედება (მათ შორის ადმინისტრაციის თავმჯდომარის) საჩივრდება ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში.**

ფიზიკური პირი ვალდებულია სასამართლოში სარჩელის განხილვისათვის გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, თუ:

1. მან არ ისარგებლა ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის უფლებით და პირდაპირ შეიტანა სარჩელი სასამართლოში;
2. მისთვის ცნობილი იყო გარემოებები, რომლებიც აშკარად მეტყველებენ მისი სარჩელის უსაფუძვლობაზე.

- ✓ **სასამართლო გადაწყვეტილების ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გასაჩივრებისას სავალდებულოა სახელმწიფო ბაჟის გადახდა.**

- ✓ **სარჩელის შეტანისას ფიზიკური პირის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა არ დააბრკოლებს საქმის განხილვასა და გადაწყვეტას.**
- ✓ **იურიდიული პირის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა იწვევს სარჩელის განუხილველად დატოვებას.**

სარჩელი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
1. სასამართლოს დასახელება, რომელშიც შედის სარჩელი;
2. მოსარჩელის სახელი, გვარი და მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – მისი სახელწოდება და ადგილსამყოფელი[14];
3. მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება და მისამართი, რომლის აქტიც საჩივრდება;
4. მოსარჩელის მოთხოვნა;
5. გარემოებები, რომელსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა;
6. მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს;
7. სარჩელზე თანდართული საბუთების ნუსხა.

სასამართლო საქმეს იხილავს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

- ✓ **ნებართვის თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრება არ იწვევს მისი მოქმედების შეჩერებას, თუ სასამართლო ან ნებართვის გამცემი არ მიიღებს შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას.**

თბილისის საოლქო სასამართლო

მისამართი: თბილისი, დიღმის მასივი, გრ. რობაქიძის 7ა. ტელ: 53-09-15

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო

მისამართი: თბილისი, არაყიშვილის 3. ტელ: 22-45-82

კონტროლის სისტემა

ნებართვის გაცემის შემდეგ სანებართვო პირობების შემოწმება ითვლება სამეწარმეო საქმიანობის კონტროლად და მისი განხორციელება ნებართვის გამცემ ორგანოს (მაკონტროლებელი ორგანო) შეუძლია სასამართლო ბრძანების საფუძველზე.

- ✓ **კონტროლს არ წარმოადგენს ნებართვის გაცემისას სანებართვო (საკონკურსო) პირობების შემოწმება.**

იმისათვის, რომ მაკონტროლებელმა ორგანომ განახორციელოს კონტროლი მეწარმის საქმიანობაზე, იგი რეგისტრირებული უნდა იყოს მაკონტროლებელ ორგანოთა სახელმწიფო რეესტრში. ასეთი ორგანოების რეგისტრაციას ახდენს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

- ✓ **აკრძალულია სამეწარმეო საქმიანობაზე კონტროლი განახორციელოს იმ ორგანომ, რომელიც არ არის რეგისტრირებული მაკონტროლებელ ორგანოთა სახელმწიფო რეესტრში.**

[14] სასამართლომ შეიძლება მოითხოვოს ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, რათა დარწმუნდეს იურიდიული პირის რეალურად არსებობაში და გაარკვიოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის ვინაობა.

ნებართვის გამცემ ორგანოებს უფლება აქვთ განახორციელონ მეწარმის საქმიანობაზე კონტროლი მხოლოდ სანებართვო პირობებთან დაკავშირებით; კერძოდ, იმ წესების, ნორმებისა და მოთხოვნების შესრულებაზე, რომელთა დაცვაც მოეთხოვება ნებართვის მფლობელს განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისას.

შემოწმების დაწყებამდე ნებართვის გამცემი, როგორც მაკონტროლებელი ორგანო, ვალდებულია მოიპოვოს შემოწმების შესახებ ბრძანება იმ რაიონული (საქალაქო) სასამართლოსაგან, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც გააჩნია მეწარმეს ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი).

გამონაკლის შემთხვევაში, როცა შესაძლებელია საფრთხე შეექმნას ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და მტკიცებულებებს, მაკონტროლებელ ორგანოს უფლება აქვს შეაჩეროს მეწარმის საქმიანობა შემოწმების საგნის ნაწილში და შემდეგ დაუყოვნებლივ მიმართოს სასამართლოს შემოწმების შესახებ ბრძანების მისაღებად. თუ საწარმოს საქმიანობის შეჩერება შეუძლებელია, ან იგი მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს მეწარმეს ან/და შეჩერების წინააღმდეგია მეწარმე, მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია დაიწყოს მეწარმის შემოწმება და 24 საათის განმავლობაში მიმართოს მოსამართლეს შუამდგომლობით დაწყებული შემოწმების კანონიერად ცნობისა და შემოწმების შესახებ ბრძანების გაცემის თხოვნით.

მოსამართლე შუამდგომლობას განიხილავს მაკონტროლებელი ორგანოსა და მეწარმის თანდასწრებით და იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობის წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში. შუამდგომლობის განხილვისას მეწარმეს ან/და მის წარმომადგენელს ეძლევა შესაძლებლობა მისცეს განმარტებები.

თუ არ არსებობს მეწარმის საქმიანობის შემოწმების ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლები, მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება მეწარმის შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ. თუ მეწარმის საქმიანობის შემოწმება სასამართლოსადმი მიმართვამდე დაწყებული იყო და მოსამართლე გამოიტანს დადგენილებას მეწარმის შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ, მაშინ მეწარმის შემოწმება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს. ასეთ შემთხვევაში მეწარმეს უფლება აქვს მოსთხოვოს მაკონტროლებელ ორგანოს შემოწმებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მოსამართლის მიერ მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ ბრძანების გაცემა არ არის მაკონტროლებელი ორგანოს მიერ კონტროლის ავტომატურად დაწყების საფუძველი; ამისათვის საჭიროა მოსამართლის მიერ მიღებული ბრძანება შევიდეს კანონიერ ძალაში ანუ უნდა გავიდეს ბრძანების გასაჩივრების ვადა. ბრძანების გასაჩივრება აჩერებს მის ძალაში შესვლას. მოსამართლის ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მხარის მიერ შესაბამის საოლქო სასამართლოში ბრძანების ასლის მიღებიდან 24 საათში. საოლქო სასამართლო საქმეს განიხილავს საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში.

თუ მოსამართლის მიერ მიღებულია დადგენილება მეწარმის შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ, მაშინ მაკონტროლებელ ორგანოს იგივე ვადაში და წესით შეუძლია ეს დადგენილება გაასაჩივროს საოლქო სასამართლოში.

- ✓ **საოლქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.**

პასუხისმგებლობა ნებართვის გარეშე საქმიანობისთვის

ნებართვის გარეშე სამეწარმეო საქმიანობისათვის შეიძლება დადგეს ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის უფლება აქვს სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფლებამოსილ პირს. ნებართვის გარეშე სამეწარმეო საქმიანობისას დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში ძიებას აწარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტი. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის საკმარისია მხოლოდ ნებართვის გარეშე სამეწარმეო საქმიანობის ფაქტის არსებობა, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის საჭიროა დამატებით არსებობდეს შემდეგი სპეციალური გარემოებები – უნებართვო საქმიანობის შედეგად უნდა იყოს გამოწვეული „მნიშვნელოვანი ზიანი“ ან უნებართვო საქმიანობას თან უნდა ახლდეს „დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება“.

ადმინისტრაციული ჯარიმა და მისი დაკისრების წესი

პირის მიერ ტრანსპორტის სფეროში უნებართვოდ საქმიანობა ან ნებართვის პირობების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარამდე ოდენობით. /ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 139[3] მუხლი/.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფლებამოსილი პირი და უგზავნის რაიონულ სასამართლოს სამართალდამრღვევისის ადგილსამყოფლის მიხედვით. საქმეს განიხილავს და ჯარიმის ოდენობას (5000 ლარამდე) განსაზღვრავს სასამართლო.

- ✓ **ნებართვის გარეშე მოქმედი პირის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების აღმოჩენისას ტრანსპორტის ადმინისტრაცია ვალდებულია საქმე გადაუგზავნოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტს.**

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

ნებართვის გარეშე ანდა ნებართვის პირობების დარღვევით ტრანსპორტის სფეროში სამეწარმეო საქმიანობა გამოიწვევს სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ ამ საქმიანობის შედეგად გამოწვეულია „მნიშვნელოვანი ზიანი“ ან ამ საქმიანობას თან ახლავს „დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება“.

„მნიშვნელოვანი ზიანი“ წარმოადგენს შეფასებით კატეგორიას და ის უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. მნიშვნელოვანი ზიანის განსაზღვრისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ მომენტზე, რომ ზიანი შეიძლება მიადგეს არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ ნებისმიერ ორგანიზაციას თუ კერძო პირს. დიდი ოდენობით შემოსავლის განსაზღვრისას გადამწყვეტია შემოსავლის მიღების ოდენობა, კერძოდ კი, 10 000 (ათი ათასი) ლარზე მეტი შემოსავლის მიღება.

ნებართვის გარეშე საქმიანობის ანდა ნებართვის პირობების დარღვევისათვის გათვალისწინებულია შემდეგი სასჯელები:
ჯარიმა ან ტუსაღობა ვადით 4 თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთა ვადით 2 წლამდე. სასჯელს განსაზღვრავს და უფარდებს სასამართლო.

ნებართვის გარეშე საქმიანობის ანდა ნებართვის პირობების დარღვევისათვის ჯგუფურად, არაერთგზის, ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 5 წლამდე. სასჯელს განსაზღვრავს და უფარდებს სასამართლო.

სანებართვო რეესტრი

სანებართვო რეესტრის სახეებია:
1. უწყებრივი რეესტრი, რომელსაც აწარმოებს ნებართვის გამცემი ორგანო;
2. სახელმწიფო რეესტრი, რომელსაც აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

ნებართვის გამცემი ორგანო ვალდებულია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოაქვეყნოს მონაცემები ნებართვის გაცემის, მასში ცვლილებების შეტანის, მისი შეჩერების ან/და გაუქმების შესახებ, გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში. ნებართვის გაცემა, შეჩერება და ა.შ. ცვლილებები უწყებრივ რეესტრში შეიტანება 2 დღის ვადაში.

- ✓ **ყველას აქვს უფლება, გაეცნოს სანებართვო რეესტრის მონაცემებს და მიიღოს ნებართვებთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია.**

ინფორმაციის მისაღებად პირი შესაბამის უწყებაში წარადგენს წერილობით განცხადებას. სავალდებულო არ არის განცხადებაში მიეთითოს ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი და მიზანი.

- ✓ **აკრძალულია დაწესდეს რაიმე საფასური ინფორმაციის გაცემისათვის, ასლის გადაღებისათვის აუცილებელი საფასურის გარდა.**

რეესტრის სამსახური მოთხოვნილ ინფორმაციას (მონაცემებს) გასცემს დაუყოვნებლივ. გაცემის ვადა შეიძლება გაიზარდოს 10 დღემდე, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:
1. სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებას ან/და კონსულტაციას;
2. მნიშვნელოვანი მოცულობის, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

თუ ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს, შესაბამისი დასაბუთებით.

დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

რეგულირების საფასური

რეგულირების საფასური განისაზღვრება საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის თავმჯდომარის №01 (2003 27.11) ბრძანებით „საავტომობილო ტრანსპორტის დარგში სატრანსპორტო საქმიანობის რეგულირების საფასურის ოდენობის დადგენისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ".

რეგულირების გადასახადი არის გადასახადი, რომელიც სატრანსპორტო საწარმომ უნდა გადაუხადოს ადმინისტრაციას, მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული მარეგულირებელი ფუნქციების შესრულებისთვის, მათ შორის სანებართვო, სატარიფო, დავების გადაწყვეტის, სატრანსპორტო საგზაო ბარათის ბლანკებით უზრუნველყოფისა და სხვა უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად.

ყველა სატრანსპორტო საწარმო, რომელიც ეწევა ან აპირებს საქმიანობის დაწყებას საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის უფლებამოსილების სფეროში, ვალდებულია გადაიხადოს რეგულირების საფასური. რეგულირების საფასური შეიტანება სატრანსპორტო საწარმოების მიერ გაწეული მომსახურების თვითღირებულებაში.

ადმინისტრაციის რეგულირების სუბიექტები არიან:

- სატრანსპორტო საწარმოები, რომლებიც განახორციელებენ ქვეყნის შიდა სატვირთო საავტომობილო გადაზიდვას;
- სატრანსპორტო საწარმოები, რომლებიც განახორციელებენ მგზავრთა ადგილობრივ და/ან ერთიან საავტომობილო გადაყვანას;
- სატრანსპორტო საწარმოები, რომლებიც განახორციელებენ საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვას და/ან მგზავრთა გადაყვანას;
- უცხო ქვეყნის სატრანსპორტო საწარმოები, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვა-გადაყვანას საქართველოს ტერიტორიაზე.

რეგულირების საფასური დიფერენცირებულია საწარმოთა საქმიანობის მიხედვით:

№	სატრანსპორტო საქმიანობის სახე	რეგულირების საფასური
1	სატრანსპორტო საწარმო, რომელიც განახორ-ციელებს მგზავრთა ერთიან რეგულარულ გადაყვანას	1,0 ლარი ყოველ შესრულებულ ავტომო-ბილზე დღეში
2	სატრანსპორტო საწარმო, რომელიც განახორციელებს მგზავრთა ადგილობრივ საგარეუბნო რეგულარულ საავტომობილო გადაყვანას	0,5 ლარი ყოველ შეს-რულებულ ავტომობილზე დღეში
3	სატრანსპორტო საწარმო, რომელიც განახორციელებს მგზავრთა საქალაქო რეგულარულ საავტომობილო გადაყვანას	0.05 ლარი (17 ადგილზე მეტი) 0.25ლარი (17 ადგილამდე) ყოველ შესრულებულ ავტო-მობილზე დღეში
4	სატრანსპორტო საწარმო, რომელიც განახორციელებს მგზავრთა ქვეყნის შიდა არარეგულარულ საავტომობილო გადაყვანას	1,5 ლარი ყოველ შესრულე-ბულ ავტომობილზე დღეში
5	სატრანსპორტო საწარმო, რომელიც განახორციელებს მსუბუქი ავტომობილით მგზავრთა გადაყვანას	0,15 ლარი ყოველ შესრულე-ბულ ავტომობილზე დღეში

სავალდებულო სერტიფიცირება

შესაბამის საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლების მოსაპოვებლად აუცილებელია მომსახურების შესაბამისობის სერტიფიკატი.

სერტიფიკატი არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დადგენილ მოთხოვნებთან მომსახურების შესაბამისობას საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან და ნორმატივებთან. შესაბამისობის სერტიფიკატი გაიცემა სერტიფიკაციის სისტემის წესების შესაბამისად.

მომსახურების სავალდებულო სერტიფიცირება ნიშნავს სასერტიფიკაციო ორგანოს მიერ უცილობელ აღიარებას, რომ მეწარმე-სუბიექტებს შესწევთ უნარი განახორციელონ საქმიანობა მომსახურების ხარისხის, მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად.

- ✓ **მომსახურების შესაბამისობის სერტიფიკატი მოიცავს მთლიანად სატრანსპორტო მომსახურებას და არა მის ცალკეულ ნაწილებს, ე.ი. სერტიფიკაციის ორგანო დადგენილ ნორმატივებთან (სტანდარტებთან) ამოწმებს მომსახურების ისეთი შემადგენელი ნაწილების შესაბამისობას, როგორიცაა ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მდგომარეობა, სალონში სავარძლების რაოდენობა, ტექნიკური ბაზის მდგომარეობა და გადაზიდვის სპეციფიკურობიდან გამომდინარე მომსახურების სხვა პირობები.**
- ✓ **საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში სერტიფიკაციის სისტემის ცენტრალური ორგანოა საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაცია.**

განმცხადებელს უფლება აქვს სავალდებულო სერტიფიკაციის ორგანოსგან მოითხოვოს და მიიღოს აუცილებელი ინფორმაცია პროდუქციის სერტიფიკაციის წესების შესახებ (ანუ საჯაროობაა).

სავალდებულო სერტიფიცირებას ექვემდებარება შემდეგი სახის სატრანსპორტო მომსახურება:

- საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო რეგულარული გადაყვანა, სარკინიგზოს გარდა;
- საქალაქთაშორისო (საერთაშორისო) სამგზავრო გადაყვანა, სარკინიგზოს გარდა;
- ავტოსაგზაო სატვირთო გადაზიდვებით მომსახურება სპეციალიზებული სატრანსპორტო საშუალებებით;
- ავტოსაგზაო სატვირთო გადაზიდვები არასპეციალიზებული სატრანსპორტო საშუალებით;
- მძღოლიანი კომერციული სატვირთო სატრანსპორტო საშუალებების იჯარით მომსახურება.

შესაბამისობის სერტიფიკატებს გასცემენ დადგენილი წესით აკრედიტებული სერტიფიკაციის ორგანოები. **(იხ. დანართ 9)**

დ ა ნ ა რ თ ი

გზამკვლევში განხილული ნორმატიული აქტების ჩამონათვალი

№	დოკუმენტის დასახელება	დოკუმენტის სახე	მიმღები ორგანო	მიღების თარიღი
1	სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ	კანონი	პარლამენტი	04.05.2002
2	ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების შესახებ	კანონი	პარლამენტი	20.07.2001
3	საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ	კანონი	პარლამენტი	15.04.1995
4	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი	კანონი	პარლამენტი	
5	საქართველოს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“	კანონი	პარლამენტი	12.08.2003
6	საქალაქთაშორისო და საგარეუბნო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მისაღებად კონკურსის ჩატარების შესახებ	ბრძანება	საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაცია	
8	საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი	კანონი	პარლამენტი	
9	საავტომობილო ტრანსპორტის დარგში სატრანსპორტო საქმიანობის რეგულირების საფასურის ოდენობის დადგენისა და გადახდის თანდართული წესი	ბრძანება	საავომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაცია	27.11.2003

დანართი 2

ნიმუში

(ნებართვის გამცემი უწყების დასახელება)

(განმცხადებელი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, მოგვცეთ ნებართვა

სანებართვო სფეროს დასახელება

სფეროში.

სანებართვო სფეროს დასახელება

ნებართვის მაძიებლის იურიდიული მისამართი:

მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება:

რეგისტრაციის ნომერი და თარიღი:

საკონტაქტო ტელეფონი:

განცხადებას თან ერთვის:

თანდართული საბუთების ნუსხა

პატივისცემით,

განმცხადებელი: / /

ხელმოწერა სახელი, გვარი

"-------"---------- 200 წ.

ნიმუში

ორგანიზაციის სატიტულო ფურცელი

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

ეს რწმუნება ეძლევა _____
(გვარი, სახელი)

რათა მან წარმოადგინოს და დაიცვას _____
(ორგანიზაციის დასახელება)

ინტერესები _____

_____
(ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება)

ნებართვის მიღებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში და ისარგებლოს მაძიებლისათვის კანონმდებლობით მინიჭებული ყველა უფლებით, მათ შორის, გაასაჩივროს ნებართვის გამცემი ორგანოს გადაწყვეტილებები, დაიცვას მარწმუნებლის ინტერესები ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ანდა სასამართლოში.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: / /
ხელმოწერა სახელი, გვარი

"-------"---------- 200 წ.

შენიშვნა:
ინდ. მეწარმის მიერ გაცემული რწმუნებულება დამოწმებული უნდა იქნეს ნოტარიუსის მიერ.

წარმომადგენლის დანიშვნის წესი
წარმომადგენელი შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი. წარმომადგენლობის დროს სავალდებულოა ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარდგენილი იყოს კანონის შესაბამისად გაცემული და გაფორმებული რწმუნებულება (მინდობილობა). ფიზიკური პირის (საქართველოს მოქალაქის, უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის) მიერ გაცემული რწმუნებულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. რწმუნებულებას იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციის სახელით გასცემს ხელმძღვანელი ან ის პირი, რომელსაც წესდებით ენიჭება ასეთი უფლებამოსილება.

წარმომადგენლად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ფიზიკური პირი.

აცილების საფუძვლები

განმცხადებელს ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე წერილობითი სახით შეუძლია აცილება განუცხადოს საარჩევნო კომისიის ან ქვეკომისიის წევრს, რომელსაც კანონის შესაბამისად არა აქვს უფლება მონაწილეობას იღებდეს ადმინისტრაციულ წარმოებაში. დაუშვებელია ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებდეს ის თანამდებობის პირი, რომელიც:

ა) თვითონ არის საქმეში დაინტერესებული მხარე;
ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია (მოცემულ შემთხვევაში ნათესავად ითვლება: პირდაპირი ხაზის ნათესავი; მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი; აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა; და–ძმა, მათი მეუღლეები და შვილები);
გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;
დ) იყო ექსპერტი მოცემულ საქმესთან დაკავშირებით;
ე) შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან;
ვ) თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს იმ საწარმოში, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს;
ზ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრია.

შენიშვნა:
აცილების საფუძვლები განისაზღვრება საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 92-ე მუხლით.

კონკურსში მონაწილე ნებართვის მაძიებლების შეფასების ტექნიკური კრიტერიუმები

შეფასების კრიტერიუმები	შეფასების ქულა
1 ავტობუსის ტექნიკური მონაცემები	
1. ავტობუსის ხნოვანება:	
1.1. დამამზადებლის მიერ განსაზღვრული საექსპლუატაციო რესურსით (კაპიტალურ რემონტამდე) – 500 000 კმ-ზე მეტი 1.1.1. 5 წლამდე 1.1.2. 5-დან 10 წლამდე 1.1.3. 10-დან 15 წლამდე	 8 5 1
1.2. დამამზადებლის მიერ განსაზღვრული საექსპლუატაციო რესურსით (კაპიტალურ რემონტამდე) – 500 000 კმ-მდე 1.2.1. 5 წლამდე 1.2.2. 5-დან 10 წლამდე	 3 1
2. აღჭურვილობა: 2.1. კონდიციონერით 2.2. მაცივრით 2.3. ვიდეომაგნიტოფონით და ტელევიზორით 2.4. მაგნიტოლით	 3 1 2 1
3. ტექნიკური მდგომარეობის ბორტული სადიაგნოსტიკო მოწყობილობით აღჭურვა აღჭურვილია	 2
11 ავტობუსის გარეგნული იერსახე	
4. ძარის ვარგისიანობა: 4.1. ძარა არ არის მექანიკურად დაზიანებული და არ გააჩნია კოროზია 4.2. ძარას გააჩნია უმნიშვნელო დაზიანება 4.3. ძარა დეფორმირებულია და არის მექანიკურად დაზიანებული	 2 1 იხსნება კონკურსიდან
5. საღებავის საფარის მდგომარეობა:	

5.1. საღებავის საფარი არ არის გახუნებული და დაზიანებული, ფერი შეესაბამება სარეგისტრაციო მოწმობაში აღნიშნულ ფერს	2
5.2. საღებავის საფარი არ არის გახუნებული, მაგრამ გააჩნია მცირე დაზიანებები	1
5.3. საღებავის საფარი გახუნებულია (დაკარგული აქვს პირველადი ფერი) ან/და შეღებილია სარეგისტრაციო მოწმობაში აღნიშნულიდან განსხვავებული ფერით	იხსნება კონკურსიდან
<u>6. ძარაზე დამაგრებული კონსტრუქციით გათვალისწინებული ელემენტების მდგომარეობა</u> ძარა კონსტრუქციით გათვალისწინებული ელემენტებით არ არის დაკომპლექტებული ან/და ეს ელემენტი(ები) დაზიანებულია	 იხსნება კონკურსიდან
<u>7. საბარგულის მდგომარეობა:</u> ავტობუსს გააჩნია საწარმო-დამამზადებლის კონსტრუქციით გათვალისწინებული საბარგული	 2
<u>8. საბურავების ცვეთა:</u> 8.1. საბურავების პროტექტორების ცვეთა არ აღემატება 50%-ს 8.2. საბურავების პროტექტორის სიმაღლე 2 მმ-ზე ნაკლებია	 1 იხსნება კონკურსიდან
III ავტობუსის სალონის მდგომარეობა	
<u>9. სალონის მდგომარეობა, მისი განათება:</u> 9.1. სალონი გაწყობილია რბილი და ხმაურჩამხშობი გადასაკრავით, ჰერმეტულია, განათების სისტემა სრულყოფილია, გააჩნია ხელბარგის დასალაგებელი თაროები, იატაკი არ არის დაზიანებული 9.2. დაზიანებულია სალონის განათების სისტემა და იატაკი, დარღვეულია ჰერმეტულობა, სალონის საერთო სიმაღლე ნაკლებია 150 სმ-ზე	 2 იხსნება კონკურსიდან
<u>10. კარების, ფანჯრებისა და მინების მდგომარეობა:</u> 10.1. კარების საკეტები და ფანჯრების ჩამკეტები გამართულია, იკეტება და იღება თავისუფლად, მინები არ არის დაზიანებული	 2
10.2. კარ(ებ)ი გაუქმებულია, არ იღება, მგზავრებისათვის განკუთვნილი და ავარიული კარების რაოდენობა და/ან გასასვლელების პარამეტრები არ შეესაბამება სტანდარტების	იხსნება კონკურსიდან

ГОСТ 28345-89 (გაეროს ეეკ–ს წესები № 52) და ГОСТ 27815-88 (გაეროს ეეკ–ს წესები № 36) მოთხოვნებს	
11. სავარძლების ტიპი და მდგომარეობა; მათი განლაგების, დამაგრების და საზურგის მაფიქსირებელი მექანიზმის მუშაობა:	
11.1. სავარძლების ტიპი შეესაბამება ავტობუსის კლასს და მომსახურების სახეობას, მათ შორის დაშორებები ნორმების ფარგლებშია, სავარძლები დამაგრებულია მყარად, სუფთაა, არ არის დაზიანებული; კონსტრუქციით გათვალისწინებული საზურგე ფიქსირდება სხვადასხვა მდგომარეობაში	3
11.2. სავარძლების ტიპი შეესაბამება ავტობუსის კლასს და მომსახურების სახეობას, მათ შორის დაშორებები ნორმების ფარგლებშია, სავარძლები დამაგრებულია მყარად, სუფთაა, დაზიანებები უმნიშვნელოა	1
11.3. სავარძლების ტიპი არ შეესაბამება მომსახურების სახეობას, სავარძლები დაზიანებულია, მათ შორის დაშორებები არ შეესაბამება ნორმებს, კონსტრუქციით გათვალისწინებული საზურგის მდგომარეობის მაფიქსირებელი მოწყობილობა არ მუშაობს	იხსნება კონკურსიდან
12. სალონში გათბობისა და სავენტილაციო სისტემების მოქმედება: 12.1. სალონში მოქმედებს გათბობისა და ჰაერის ვენტილიაციის სისტემები და მიყვანილია თითოეულ სავარძელთან 12.2. სალონში ჰაერის ვენტილიაცია ხორციელდება სავენტილაციო ფანჯრებისა და ჭერზე განთავსებული სარკმელების მეშვეობით, ხოლო გათბობა საერთოა. 12.3. სალონში ჰაერის ვენტილაცია და/ან გათბობა არ ხორციელდება	 2 1 იხსნება კონკურსიდან
IV ავტობუსის კონსტრუქციული უსაფრთხოება	
13. მძღოლის ხილვადობა	
უკანა ხედვის სარკეები დაზიანებულია, საქარე მინასაწმენდები გაუმართავია, მინის შუქგამტარობა არ შეესაბამება 5727-99 სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს	იხსნება კონკურსიდან
14. სასიგნალო – მაჩვენებელი მოწყობილობა, ახლო და შორი ნათების, უკუსვლის მაშუქები; გვერდითი, გაბარიტული და უკანა ნათურები; გაჩერების და მოხვევის მაჩვენებლების	

<u>მოქმედება; ნისლსაწინაღო წინა და უკანა მაშუქები (სამთო მარშრუტზე); სანიმრო ნიშნის განათება</u>	
ჩამოთვლილი მოწყობილობებიდან რომელიმე არ მუშაობს	იხსნება კონკურსიდან
<u>15. ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების, სამედიცინო საფთიაქო ყუთების, საავარიო გაჩერების ნიშნების, მინის გასატეხი ჩაქუჩების კომპლექტის, დაგორების საწინააღმდეგო სოლების ან დაგორების საწინააღმდეგო სხვა მოწყობილობების, ავარიული გასასვლელების და მათი მაჩვენებელი ნიშნების არსებობა</u> რომელიმე მათგანით არ არის აღჭურვილი	 იხსნება კონკურსიდან
<u>16.. სპიდომეტრის გამართულობა</u> სპიდომეტრი გაუმართავია	 იხსნება კონკურსიდან
<u>17. აირბალონიან ავტობუსზე აირბალონიანი მოწყობილობების განთავსების (მონტაჟის) ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობა</u> აირის ბალონები დამონტაჟებულია ტექნიკური ნორმების დარღვევით	 იხსნება კონკურსიდან

ნებართვის მაძიებლის რეპუტაციისა და საიმედოობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები

შეფასების კრიტერიუმები	შეფასების ქულა
18. საგადასახადო დავალიანების არსებობა ნებართვის მაძიებელს არ გააჩნია საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი საგადასახადო დავალიანება	3
19. ავტობუსის მფლობელობის ფორმა კონკურსში წარმოდგენილი ავტობუსების 50 პროცენტი და მეტი ნებართვის მაძიებლის საკუთრებაშია	2
20. ნებართვის მაძიებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ტერიტორია, შენობა-ნაგებობები და შესაბამისი მოწყობილობა-დანადგარები, განკუთვნილს ავტობუსების შენახვის, რეცხვა-დასუფთავებისა და წინასარეისო მომსახურებისათვის; ნებართვის მაძიებელს გააჩნია საკუთრებაში ტექნიკურად გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	3

დანართი 7

ნიმუში

საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის თავმჯდომარეს
ბატონ/ქალბატონ _____
(სახელი, გვარი)

_____
(საჩივრის შემტანი)

_____
(მისამართი)

ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი უ ლ ი ს ა ჩ ი ვ ა რ ი

მოგახსენებთ, რომ _____
[ნებართვის გამცემი ორგანოს (თანამდებობის პირის) დასახელება]

გადაწყვეტილებით _____
(ადმინისტრაციული აქტის დასახელება, ნომერი და თარიღი)

არ დაკმაყოფილდა ჩვენი განცხადება_____
(ნებართვის სახელწოდება)

მიღების თაობაზე.

მოგმართავთ თხოვნით, განიხილოთ ნებართვის მიღების შესახებ ჩვენი განცხადების დაკმაყოფილების საკითხი, აგრეთვე გააუქმოთ

_____
[ნებართვის გამცემი ორგანოს (თანამდებობის პირის) დასახელება]

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება, ვინაიდან იგი სამართლებრივი თვალსაზრისით უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია შემდეგი გარემოებების გამო:

_____

_____

თანდართული საბუთების ნუსხა:

_____
(დოკუმენტები, რომლებიც საჩივრის საფუძვლიანობას დაადასტურებენ)

საჩივრის შემტანი: / /
ხელმოწერა სახელი, გვარი

"-------"---------- 200 წ

დანართი 8

ნიმუში

_____ სასამართლოს

მოსარჩელე: _____
(სახელწოდება, მისამართი)

მოპასუხე: _____
(ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება, მისამართი)

_____

ადმინისტრაციული სარჩელი

მოგახსენებთ, რომ _____
(ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება)

გადაწყვეტილებით _____
(ადმინისტრაციული აქტის სახელწოდება და თარიღი)

არ დაკმაყოფილდა ჩვენი განცხადება ნებართვის მიღების შესახებ.

გთხოვთ, განიხილოთ ჩვენი სარჩელი, გააუქმოთ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული აქტი ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ და დაავალოთ ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. ჩვენი მოთხოვნა ეფუძნება შემდეგ გარემოებებს:

_____

_____

აღნიშნული გარემოებები დასტურდება შემდეგი მტკიცებულებებით: _____

_____

სარჩელს თან ერთვის:

_____
(დოკუმენტები (მტკიცებულებები), რომლებიც სარჩელის საფუძვლიანობას ადასტურებენ)

მოსარჩელე:

/ /

ხელმოწერა სახელი, გვარი

"-------"---------- 200 წ

შენიშვნა: ადმინისტრაციული სარჩელი და მასზე თანდართული დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს იმდენ ეგზემპლარად, რამდენიც მოპასუხეა.

სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ აკრედიტებული ორგანოების ჩამონათვალი

№	საგამოცდო ლაბორატორიის (ს.ლ.) დასახელება	აკრედიტაციის სფერო	ხელმძღვანელი	მისამართი
1	შპს „შაკო“	ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისი, სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვები	ნ. ალარიშვილი	ქ. გორი, სულხან-საბას 29 ტელ: 8 99 58 86 05
2	შპს „ტრანსსერვისი ქვემო ქართლი“	ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისი, სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვები	პ. ყანდაშვილი	ქ. რუსთავი, ჭავჭავაძის 15
3	შპს „ავტოტესტი“	ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისი, სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვები	მ. თარგამაძე	ქ. ზუგდიდი, მოსკოვის ქ.№5
4	შპს „ერტა“	ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისი, სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვები	ნ. გეგელია	ქ. სენაკი. ჭავჭავაძის ქ. №111. ტელ: 8 99 15 40 34
5	შპს „საქართველოს სტანდარტი“	ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისი, გადაზიდვები	ზ. იმნაძე	ქ. ფოთი, რეკვავას.№9 ტელ: 2 05 11
6	შპს „ალაზანი“	ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისი, სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვები	კ. ბაწელაშვილი	ქ. გურჯაანი, სარაჯიშვილის ქ.№45 ტელ: 8 99 95 26 36
7	შპს „ATES ავტოტრანსექსპრესსერვისი“	ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისი, სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვები, ავტოგასამართ სადგურებში მომსახურება	დ. ორთოლაშვილი	დაბა ზაჰესი. ავჭალის გზატკეცილი 68
8	შპს: „ავტოტრანსექსპრესი – კახეთი“	ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისი, სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვები	ა. ამირანაშვილი	ქ. თელავი, თბილისის გზატკეცილი №6
9	შპს: „ავტოტრანსრეგულირება მცხეთა-მთიანეთის“	ავტოსატრანსპორტო სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვები	ა. კაპანაძე	ქ. მცხეთა. დ. ღმაშენებლის 93. ტელ: 8-27322457

10	კავშირი „საავტომობილო დარგის ინჟინერთა კავშირი“	ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისი, სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვები	ჯ. ბურჯანაძე	ქ. ქუთაისი, ხარებავას ქ. №23/19 ტელ: 8 77 47 90 77
11	შპს „ადამი“	ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისი, სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვები	პ. რუსაძე	ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. №11 ტელ 8 99 29 47 45
12	კავშირი „სატრანსპორტო ტექნოლოგიები“	ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისი, სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვები	ზ. გერლიანი	ქ. თბილისი. თევდორე მღვდლის ქ. № 53. ტელ: 8 77 46 80 01
13	კავშირი „ტრანსსერვისი იმერეთი 2003“	ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისი, სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვები	ვ. მახარობლიძე	ქ. ქუთაისი, 9 აპრილის ქ. №2
14	კავშირი „ავტოტრანსი”	ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისი, სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვები	მ. ფარსენაძე	ქ. ბათუმი ჰ. აბაშიძის ქ. №37
15	შ.პ.ს. „კ.ა.ს.“	ტექნიკური სერვისი და ავტოტრანსპორტით სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვები	გ. ერეკლიშვილი	ქ. ახალციხე ქეთევან წამებულის გამზირი № 96 ტელ: 96 81 86
16	კავშირი „სტანდარტ+1“	ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისი, სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვები	მ. ჭითანავა	ქ. თბილისი კახეთის გზატკეცილი № 103 ტელ: 72 12 47
17	კავშირი „იმედი“	საავტომობილო ტრანსპორტით მომსახურება, ტექნიკური მომსახურება და რემონტი	გ. ჩახაია	ქ. ზუგდიდი სოხუმის ქ. № 40 ტელ: 8 99 26 81 07
18	შ.პ.ს. „ტრანსტექნიტესტი“	ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისი, სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვები, ტექ. მომსახურება და რემონტი	ა. გაბუნია	ქ. თბილისი ჯიქიას ქ. № 8 ტელ: 31 58 79; 899 55 58 03

saqarTvelos axalgazrda ekonomistTa asociacia 1999 wlidan aqtiurad monawileobs licenzirebisa da nebarTvebis Sesaxeb axali kanonebis momzadebisa da danergvis procesSi. axali kanonmdeblobis danergvis mizniT gamoica ramdenime naSromi, Catarda konferenciebi mewarmeTa da sxva dainteresebuli pirebisaTvis. 2004 wlis 1oqtombridan 2005 wlis 31 maisamde organizaciaSi warmoebs satelefono konsultaciebi, romlis mizania nebismier msurvel pirs misces ganmartebebi licenziebis anda nebarTvebis Taobaze.

licenziebisa da nebarTvebis Sesaxeb ukve gamocemulia Semdegi naSromebi:

- `rogor miviRoT licenzia da nebarTva kvebis produqtebisa da Tambaqos warmoebis sferoSi~, gzamkvlevi. 2003 weli;
- `rogor miviRoT licenzia da nebarTva veterinariis sferoSi samewarmeo saqmianobaze~, gzamkvlevi. 2003 weli;
- `rogor miviRoT licenzia da nebarTva samedicino da farmacevtuli saqmianobis sferoSi~, gzamkvlevi. 2003 weli;
- `rogor miviRoT mSeneblobis nebarTva~, gzamkvlevi. 2004 weli;
- `rogor miviRoT produqciis eqsport-importis nebarTva~, gzamkvlevi. 2004 weli;